პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

31 მარტი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 63 (9730) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პირველად ჩვენს რესპუბლიკაში

თბილისის საუკეთესო სპორტულ ბაზებზე ჩატარდება სტუდენტთა გიგანტური [illegible]

ამ მეტად საინტერესო ასპარეზობის შესახებ ჩვენ ადრე უკვე ვიუწყებოდით. რედაქციაში შემოდის წერილები, სადაც მკითხველები, მათ შორის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები გვთხოვენ დაწვრილებით განვუმარტოთ თამაშების არსი, რით ემსგავსება და რით განსხვავდება იგი სხვა ასპარეზობებისაგან.

თამაშების უპირველეს მიზანს, როგორც ეს ჩაწერილია დებულებაში, წარმოადგენს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა, ასპირანტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მასობრივად ჩაბმა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში, აქტიური დასვენება, სპორტის ცალკეული სახეობების პროპაგანდის მეშვეობით საუკეთესო კოლექტივის გამოვლენა. პირველ თამაშებში, რომელიც სტარტს აიღებს 3 აპრილს, ერთმანეთს ხვდებიან თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები. გრაფიკი ასეთია: **3 აპრილი — კალათბურთი; 10 აპრილი — ფრენბურთი; 17 აპრილი — ცურვა, 24 აპრილი — მინი-ფეხბურთი.**

კალათბურთსა და ფრენბურთში ორივე სასწავლებლიდან მონაწილეობს 100-100 გუნდი (80 ვაჟთა და 20 ქალთა) ფაკულტეტებისა და კურსების მიხედვით. თითოეული გუნდის განაცხადში შეყავთ არანაკლებ 8 და არაუმეტეს 12 მოთამაშისა.

ცურვაში თითოეული სასწავლებლიდან მონაწილეობს 400 სტუდენტი (300 ვაჟი და 100 ქალი). კა-

იხ. გე-4 გვ.

ნანა იოსელიანი პირველია

სასიხარულო ცნობა მივიღეთ ჰოლანდიიდან. აქ დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში შერეული შემადგენლობით (ორი ქალი, ორი ვაჟი). ქალთა ღირსებას იცავდნენ ჩვენი თანამემამულე, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ნანა იოსელიანი და შვედი პია კრამლინგი, ვაჟთა შორის კი იყვნენ ახალგაზრდა ჰოლანდიელი საერთაშორისო ოსტატები პიკეტი და რიემერსი.

ტურნირი ჩატარდა ორ წრედ. საბოლოოდ I-II ადგილები გაიყვეს ნანა იოსელიანმა და პიკეტმა. ამ დღეებში ნანა იოსელიანი თბილისში დაბრუნდება და დაწვრილებით ცნობებს ამ ტურნირის შესახებ „ლელოს“ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

ნინო გურიელი უძლიერესებში

ოთხთვიანი შუსვენების შემდეგ საერთაშორისო დიდოსტატმა ნინო გურიელმა მონაწილეობა მიიღო ბელგრადის ტრადიციულ სარვამარტო საჭადრაკო ტურნირში. მან 5,5 ქულით ნატაშა ბოიკოვიჩსა და რაისა ეიდელსონთან ერთად II-IV ადგილები გაიყო.

გურიელმა მესამედ მიიღო მონაწილეობა ამ ტურნირში. მან 1981 წელს II, ხოლო 1986 წელს I ადგილი დაიკავა. წლევანდელ შეჯიბრებაშიც შეეძლო I ადგილის მოპოვება, სრულიად მოულოდნელად საკმაოდ სუსტ მოჭადრაკეებთან მარიანა პეტეკთან და რუშიანა გოჩიძესთან რომ არ დამარცხებულიყო.

რაც შეეხება I ადგილს, მას 6,5 ქულით ბულგარელი საერთაშორისო დიდოსტატი მარგარეტ ვოისკა დაეუფლა.

თბილისში სტუმრად იმყოფება დაძმობილებული ქალაქ საარბრიუკენის ტურისტული ჯგუფი, კერძოდ, საარის მხარის ქალაქ ზანქთ-ვენდელიდან. ისინი, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, ამ პატარა ქალაქის რიტმული ტანვარჯიშის კლუბის წევრები არიან და თბილისში ჩამოსვლისას თავიანთი „კოლეგების“ ნახვა მოისურვეს. ამ სურათზე თქვენ ხედავთ შეხვედრის ამსახველ მომენტებს, რომელიც გერმანელ სტუმრებს თბილისის ტანვარჯიშული კომპლექსის დარბაზში გაუმართეს. იქვე თავიანთი ოსტატობა აჩვენეს მხატვრული ტანვარჯიშის ქართველმა ოსტატებმა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

იწყება ახალი შემოწმება

გავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის სკოლების მუშაობის ეფექტიანობის შემსწავლელი კომისია, საქართველოს სპორტსახკომის გადაწყვეტილებით, 4 აპრილიდან კვლავ განაახლებს საქმიანობას. შარშან, როგორც ცნობილია, ამ კომისიამ ე. წ. სახელმწიფო მიღება ჩაატარა სპორტულ სკოლებში და ბევრი ნაკლოვანებებიც გამოავლინა. ახლა, 4 აპრილს კომისიის წინაშე პირველები წარსდგებიან პროფკავშირთა საპორტსაზოგადოების ფარიკაობისა და „დინამოს“ საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელები, 5 აპრილი ჭიდაობაში „შრომითი რეზერვების“ სკოლის შემოწმების დღეა. 7 აპრილს კომისია ეწვევა მხატვრულ და სპორტულ ტანვარჯიშში განათლების სამინისტროს, „დინამოს“, პროფკავშირებისა და ხელბურთში თბილისის განათლების სამმართველოს სპორტულ სკოლებს. შემდეგი გრაფიკი ასეთია: 10 აპრილი — თბილისის განათლების სამმართველოს აკრობატიკის და ფეხბურთის სკოლები, 11 აპრილი — თბილისის განათლების სამმართველოს საციგურაო სკოლა, 12 აპრილი — პროფკავშირების მძლეოსნობის სკოლა, 13 აპრილი — თბილისის განათლების სამმართველოს ფარიკაობისა და მძლეოსნობის სკოლები, 14 აპრილი — ქუთაისის განათლების განყოფილების ფარიკაობის სკოლა, თბილისის კომპლექსური სპორტსკოლა, 15 აპრილი — „შრომითი რეზერვების“ კრივის სკოლა, 16 აპრილს — თბილისის განათლების სამმართველოს საკალათბურთო სკოლა, 18 აპრილს — ქუთაისის „ტორპედოს“ საფეხბურთო სკოლა, 19 აპრილს — თბილისის განათლების სამმართველოს ჭიდაობის სკოლა, 21 აპრილს — განათლების სამინისტროს ველოსკოლა, 24 აპრილს — თბილისის განათლების სამმართველოს ფრენბურთის სკოლა, 25 აპრილს — პროფკავშირების ჭიდაობის სკოლა, 26 აპრილს — პროფკავშირების კრივის სკოლა, 28 აპრილს — თბილისის განათლების სამმართველოს ჩოგბურთის სკოლა და 29 აპრილს — ქუთაისის განათლების განყოფილების კრივის სკოლა.



დიდი რეგბის XXV სტარტი

გუშინ ტირასპოლის „ელექტრომაშისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მატჩით დაიწყო რეგბისტთა XXV საკავშირო ჩემპიონატი. დღეს საქართველოს გუნდებიც გამართავენ პირველ შეხვედრებს. ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე ქვეყნის ჩემპიონი და თახის მფლობელი „შენებელი“ უმახპინძლებს გაგარინის სახელობის სამხედრო საჰაერო აკადემიის გუნდს. შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხვედრა შარშანდელი სუპერფინალური სერიის გაგრძელება იქნება. თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე მახპინძლები — რკინიგზელი რეგბისტები მოსკოვის „სლავას“ ეთამაშებიან. მეტოქეები სულ ერთი კვირის წინ შეხვდნენ ერთმანეთს თახის გათამაშების წინასწარ ეტაპზე, რომელიც მოსკოველთა გამარჯვებით დამთავრდა. ასე რომ, თბილისელები რევანშისათვის იბრძოლებენ. მატჩი დაიწყება 18 საათზე.

იხ. გე-4 გვ.

„ლელოს“ საკონსულტაციო პუნქტი გთავაზობთ

ყველანი ჯანმრთელობის დღესასწაულზე!

ახლოვდება 3 აპრილი — ჯანმრთელობის ტრადიციული დღესასწაული, რომელიც ყოველწლიურად ჩვენს რესპუბლიკაში აპრილის პირველ კვირა დღეს მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებებით აღინიშნება. წელს ამ დღესასწაულისთვის განსაკუთრებით ემზადებიან ჩვენი ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები. მარტო ის რად ღირს, რომ დასაბამი მიეცემა კიდევ ერთ სიახლეს — უმაღლესი სასწავლებლების გიგანტურ თამაშებს. კვირას რესპუბლიკის ყველა სპორტული ბაზა და ღია მოედნები კულტურისა და დასვენების პარკები, მასობრივი დასვენების სხვა ადგილები მოსახლეობას დაეთმობა. ცხადია, ბევრიც ამ დღეს ტურისტულ ბილიკებზე გამოვა, ბუნების წიაღში დაისვენებს. ახლა მთავარია, ეს ღონისძიება საინტერესო და მიმზიდველი გავხადოთ, ადამიანებს გავუღვივოთ აქტიური დასვენების სურვილი. რედაქციაში ბევრი წერილი შემოდის, სადაც მკითხველები მხარს გვიჭერენ, რათა სწორედ 3 აპრილი გამოვაცხადოთ თამბაქოს წევის წინააღმდეგ ბრძოლის დღედ. ფიზკულტურა, სპორტი და ნიკოტინი მართლაც რომ შეუთავსებელია ერთმანეთთან. იმედი გვაქვს ამ დღეს ყველგან ყველაფერს გააკეთებენ, რომ მოსახლეობას განუმარტონ თამბაქოს მავნეობა, ყველაზე კარგი საშუალება ნიკოტინის წინააღმდეგ ბრძოლაში კი ფიზკულტურულ-სპორტულ და ტურისტულ ღონისძიებებში მონაწილეობაა.

კვირის ღონისძიებებში ფართოდ უნდა ჩავრთოთ შეჯიბრებები სპორტის ეროვნულ სახეობებში და ხალხურ თამაშებში, პროგრამაში შევიტანოთ ის სახეობები, რაც მზად კომპლექსის მოთხოვნებითაა გათვალისწინებული. თბილისის და ქუთაისის ქუჩებში, როგორც გუშინ გვაცნობეს, გაიმართება მძლეოსნური და ველოგარბენები, თბილისის იპოდრომზე იხილავთ ლამაზ ცხენოსნურ სანახაობებს, ბევრგან მიიწყობა სპორტული ნაწარმის გაყიდვა. ვიმეორებთ, ზემდგომი სპორტული ორგანიზაციებიდან ღონისძიებების ჩატარებაზე ცალკე მითითებას ადგილებზე არ უნდა ელოდნენ. ყველაფერი უნდა დაიგეგმოს შემოქმედებითად ადგილობრივი პირობების, შესაძლებლობებისა და ტრადიციების გათვალისწინებით.

ჩატარებული ღონისძიებების შესახებ გვაცნობეთ.

ყველა გზა ხსნილია

ძიუდო რომ არა, გვაპატიონ კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, ქართველ ფალავანთა ავტორიტეტს საერთაშორისო სარბიელზე ბევრი მოაკლდებოდა. ეს იაპონური ჭიდაობა ყველაზე ბოლოს დაინერგა ჩვენში. მისი ბუმი, ეტყობა, ჯერ კიდევ წინ არის: ამას გვპირდება ჩვენი ჭაბუკი მოჭიდავეების სულ უფრო მზარდი ოსტატობა და სიყვარული ძიუდოს მიმართ. როგორც უკვე გაცნობეთ, სულ ახლახან წინ საქართველოს ფალავნებს, შეიძლება ითქვას, ბენეფისი ჰქონდათ კიშინიოვში, სადაც გაიმართა ახალგაზრდა ძიუდოისტთა (1968 წელს დაბადებულები და უმცროსები) საკავშირო პირველობა. შეჯიბრებაზე გათამაშებული 36 მედლიდან 15 მათ წამოიღეს საქართველოში, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლებს კი, როგორც ხედავთ, სულ 21 ჯილდო დაუტოვეს. გუნდის გამოსვლის შესახებ გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ომარ მერაბიშვილი, რომელიც ჩვენს ნაკრებს ახლდა მოლდავეთის დედაქალაქში.



— შედეგები უკვე იცით. მართლაც საუცხოოდ, უდიდესი ენთუზიაზმით იჭიდავეს ჩვენმა ბიჭებმა. მედალი და ჩემპიონი არც ადრე გვქონდა სანატრელი, მაგრამ ეს გამოსვლა მაინც განსაკუთრებული იყო. ცხრა წონაში ხუთი ჩემპიონი ხუმრობა ხომ არ არის.

პირველობა საუწყებო იყო, მაგრამ ტრადიციად იქცა ქულების დაანგარიშება ცალკეული რესპუბლიკების გუნდებს შორის. ამ არითმეტიკით, ცხადია, ჩვენ აღმოვჩნდით წინ. საქართველოს გუნდის მთავარ მეტოქეს, რუსეთის ფედერაციის ნაკრებს 9 მედალი და 43,5 ქულა ჰქონდა, ჩვენ — 48 ქულა. თუ რამდენად გავუსწარით სხვა კოლექტივებს, ამის საილუსტრაციოდ ვიტყვი, რომ მესამე ადგილზე გასულმა აზერბაიჯანის გუნდმა სულ 15 ქულა დააგროვა.

მწვრთნელთა და მოვარჯიშეთა რიცხვით ჩვენ, რასაკვირველია, ვერასდროს გავუტოლდებით ჩვენს კონკურენტებს. უკრაინაში, მაგალითად, ამ სახეობაში 620 მწვრთნელი მუშაობს, აღარას ვამბობ რუსეთის ფედერაციაზე, რომელმაც 88 სპორტსმენი გამოიყვანა კიშინიოვში (ჩვენს გუნდში 26 მოჭიდავე იყო). მაგრამ ჩვენს ბიჭებს ძიუდოს, უფრო სწორად — ჭიდაობის თანდაყოლილი ალღო აქვთ. ვარჯიშზე ბევრ ილეთს ვასწავლით, მაგრამ გაიხედავ და ისეთ ფანდს ჩაატარებენ, რაც არასდროს გისწავლებია, გუმანით ხვდებიან ბევრ რამეს, პირდაპირ გაოცდები კაცი, ამიტომ მათ ყოველთვის აქვთ უპირატესობა მეტოქეებთან შედარებით, რომლებიც კეთილსინდისიერთად, მაგრამ გაკვეთილივით სწავლობენ ძიუდოს ანბანს. ქართველი ჭაბუკები თანატოლებში, მათ მეტოქეებზე ვამბობ, პირველ ყოვლისა, ჭიდაობის მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ალბათ ჩვენი მწვრთნელების კარგი მუშაობაც უნდა აღინიშნოს.

დავუბრუნდეთ შეჯიბრებას, უფრო სწორად, მის ტექნიკურ შედეგებს. ჩვენ მხოლოდ 78 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერ მოვიპოვეთ მედალი და საერთოდ, ჩათვლის გარეშე დავრჩით, თუმცა ოლეგ რატიანს შეეძლო გაცილებით უკეთ გამოსულიყო.

სხვა წონებში ჩვენი მოჭიდავეების შედეგებზე კი ეს თავისებური სტატისტიკაც მეტყველებს:

56 კგ. მამუკა მახათაძე (ლაგოდეხი) — III ადგილი. **60 კგ.** კახა ქურასბედიანი (ლენტეხი) —I. **65 კგ**, არსენ ახალაძე (გორი)—II. **71 კგ.** ვლადიმერ დგებუაძე (სოხუმი) — II; იოსებ ჭყუნიშვილი (თიანეთი) და ბაკურ თურქაძე (ლაგოდეხი) — III. **86 კგ.** დავით ბაგაური (ახმეტა) — I; თამაზ საკაშვილი (თბილისი) — II. **95 კგ.** კობა გურეშიძე (ზესტაფონი) —I. ვეფხია კაპანაძე (თბილისი) და თემურ აბუაშვილი (გორი) —III. **მძიმე წონა.** დავით ხახალეიშვილი (ქუთაისი) — I; ზაზა დაბრუნდაშვილი (თბილისი) — III. **აბსოლუტური წონა.** ვალერი პარუნაშვილი (თბილისი)—I; ზაზა დაბრუნდაშვილი (თბილისი) — III.

პრიზიორებიდან ყველაზე მეტ ქებას, ცხადია, ჩემპიონები იმსახურებენ, მაგრამ მათ შორის მინდა დავით ხახალეიშვილი გამოვყო. დათოს მე და ვეფხია ბალხამიშვილი ვავარჯიშებთ და ჩემთვის უხერხულია მასზე ლაპარაკი, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ახალგაზრდა მოჭიდავის განსაკუთრებული წარმატება. დათოს სულ ერთი წუთი და 15 წამი დასჭირდა, რათა სამი მეტოქე დაემარცხებინა და ფინალში გასულიყო. შეჯიბრების მესამე პრიზიორს სერგეი კაპუსტინს მან 5 წამში მოუგო. ფინალში ხახალეიშვილს, რომელიც ვაზარით იყო წინ, ყველას გასაკვირად, მსაჯებმა მკაცრი გაფრთხილება — კეიკოკუ მისცეს. მაგრამ მის მეტოქეს, მაიკოპელ კობელევს ამან ვერ უშველა — მაინც იპონით წააგო შეხვედრა. „მე ნამდვილი ძიუდო ვნახე", — გვითხრა ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმერ კაპლინმა. არ დაგავიწყდეთ, ხახალეიშვილი 1971 წელს არის დაბადებული და ძირითადად სამი წლით უფროს მეტოქეებს ხვდებოდა (გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ვლადიმერ კაპლინმა სწორედ დავით ხახალეიშვილი გამოყო მონაწილეთა შორის. რედ.).

ასევე დასამახსოვრებელი იყო ჩვენი სხვა ჩემპიონების — გურეშიძის, ქურასბედიანის, ბაგაურის, პარუნაშვილის გამოსვლა, ამიტომ გულით მინდა მივულოცო მათ მწვრთნელებს: ჯონი ჯანიაშვილს, ბერდია გუგავას, ბიძინა მაზიაშვილს, ოთარ ნატროშვილს.

ალბათ გაინტერესებთ, ჩვენი სპორტსაზოგადოებიდან ვის რა წვლილი მიუძღვის საერთო წარმატებაში. დინამოელებმა ხუთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს; „შრომის" რეზერვების ფალავნებმა — ერთი ოქროსი და ხუთი ბრინჯაოსი, პროფკავშირის წარმომადგენლებმა — ორი ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოსი. ერთი პირველი ადგილი არმიელებს ხვდათ. „ძალიან გვშველიან თქვენი ბიჭები", ამბობდნენ საკავშირო სპორტსაზოგადოებების უფროსი მწვრთნელები, განსაკუთრებით კი — დინამოელები.

ახლა ჩვენთან ძიუდოში, ყველაფრიდან ჩანს, ძალიან კარგი თაობა წამოვიდა. მათ ერთი ნაბიჯიღა აშორებთ დიდი სპორტის კარიბჭეს. მე წელან ქართველ მოჭიდავეთა ნიჭიერებას გავუსვი ხაზი, მაგრამ დიდ სპორტში მაინც დიდი შრომა წყვეტს ყველაფერს. ამ ბიჭებს რაც შეიძლება უმტკივნეულოდ და უდანაკარგოდ უნდა გადავადგმევინოთ ეს ერთი ნაბიჯიც, რათა ჩვენს პირველ გუნდში ღირსეული ცვლა მოვიდეს. საამისოდ ყველა გზა ხსნილი აქვთ, მათ შორის — საერთაშორისო სარბიელზეც: შემოდგომაზე ჩატარდება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები ახალგაზრდებს შორის. ამ შეჯიბრებებში შეიძლება ჩვენი რამდენიმე ფალავანიც გამოვიდეს. გარდა ამისა, 1971-1972 წლებში დაბადებული მოჭიდავეები — დგებუაძე, თვალაძე, ხახალეიშვილი, სამუკაშვილი, დაბრუნდაშვილი და საკაშვილი გამოძახებული არიან საკავშირო ნაკრებში, რომელიც იაპონიაში საწვრთნელ შეკრებას გაივლის და იქვე მონაწილეობას მიიღებს ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირში.

საუბარი ჩაიწერა
გიორგი ჩოჩიშვილმა.



უფროსთა „დუელი" და ჭაბუკთა პერსპექტივა

ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშებამდე ან ოლიმპიადამდე დიდი დრო დარჩა, ვერ ვიტყვით, მაგრამ იმაზე ლაპარაკი, თუ საბოლოოდ როგორ ჩამოყალიბდება ის გუნდები, რომლებიც ამ შეჯიბრებებისთვის ემზადებიან, ჯერ, რა თქმა უნდა, ნაადრევია — წლის ამ უმნიშვნელოვანეს ასპარეზობებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად ჭაბუკთა ნაკრებებისა და ოლიმპიური გუნდების კანდიდატთა უმრავლესობამ მრავალი „საკონტროლო ბარიერი" უნდა გადალახოს. ერთი სიტყვით, საგზურების განაწილების დრო არ დამდგარა, მაგრამ წლის დასაწყისიდან დღემდე გამართული ყველა შეჯიბრება, ბუნებრივია, მაინც ამ თვალსაზრისით განიხილება. გამონაკლისი არც გახლდათ ახლახან სოჭში გამართული აფროსანთა ტრადიციული რეგატაც, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის საუკეთესო აფროსნებთან ერთად აშშ-ის, პოლონეთისა და ბულგარეთის წარმომადგენლებმაც იასპარეზეს.

სოჭის რეგატის წლევანდელი რბოლა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ჩატარდა. თუ პირველი ორი რბოლის დროს ძლიერმა ქარმა, თოვლმა და დიდტალღობამ გაართულა ასპარეზობა, მერე სუსტმა, „ულონო" ქარმა და უტალღობამ გააწვალა აფროსნები.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტის მოყვარულებს, პირველ ყოვლისა, ოლიმპიური გუნდის კანდიდატის, „ვარსკვლავის" კლასის ნავით მოასპარეზე ცნობილი ქართველი აფროსნის გურამ ბიგანიშვილის გამოსვლის შედეგი დააინტერესებთ. საერთოდ, „ვარსკვლავის" კლასში იმდენად საინტერესო ვითარება შეიქმნა, რომ ამ კლასის ნავებით შეჯიბრება სპეციალისტთა საერთო ყურადღების ცენტრშია, ამიტომ მასზე ცოტა უფრო ვრცლად შევჩერდებით. საქმე ის გახლავთ, რომ ოლიმპიური საგზურისთვის ბრძოლა თავდაპირველად ბიგანიშვილის, ვიქტორ სოლოვიოვისა და ვიქტორ პოტაპოვის ეკიპაჟებმა დაიწყეს. „ორი ზედმეტიდან" პირველს პოტაპოვს მოეცარა ხელი — საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელებმა სეულში გამგზავრების კანდიდატებად თბილისელი ბიგანიშვილი და ლენინგრადელი სოლოვიოვი დაასახელეს და მათი „დუელიც" დანიშნეს. ამ ორთაბრძოლის პირობები ასეთია: მეტოქეები ჯერ იტალიაში, გარდის რეგატაზე, შემდეგ კი (აპრილის მეორე ნახევარში) ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრებიან და მათ შორის საუკეთესო სეულის ოლიმპიადის საგზურს მიიღებს. ამ ორი შეჯიბრებიდან გადამწყვეტი, ალბათ, რანგით უფრო მაღალი ევროპის ჩემპიონატი იქნება და, ეტყობა, სწორედ იქ გაირკვევა ოლიმპიური საგზურის მფლობელის ვინაობა. თუმცა, შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ ეს საგზური საერთოდ „გაუქმდეს" და აი, რატომ: ევროპის ჩემპიონატზე ბიგანიშვილსა და სოლოვიოვს დაგეგმილი აქვთ საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა. თუ ეს „საშინაო დავალება" ორივემ შეასრულა, მაშინ, ცხადია, სეულის საგზური უკეთეს ადგილზე გასულს დარჩება, იმ შემთხვევაში კი, თუ ორივე ექვსეულის მიღმა აღმოჩნდა, ოლიმპიადაზე ვერც ერთი ვერ წავა. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, სოჭის რეგატაშიც იჩინა თავი: ბიგანიშვილი და სოლოვიოვი „პირად ანგარიშსწორებასა" და მომავალი ორთაბრძოლების წინ ფსიქოლოგიური უპირატესობის მოპოვებას უფრო ესწრაფვოდნენ, ვიდრე რეგატაში გამარჯვებას. საბოლოოდ, ეს „შეჯიბრება—შეჯიბრებაში" ბიგანიშვილის გამარჯვებით დასრულდა — მან და მისმა მებაგირემ ალექსანდრ მუზიჩენკომ მეორე ადგილი დაიკავეს, სოლოვიოვის ეკიპაჟი კი მეხუთე ადგილზე გავიდა.

სოჭის რეგატაზე ჩვენი ინტერესები, ცხადია, მარტო ბიგანიშვილ-სოლოვიოვის ორთაბრძოლით არ შემოფარგლულა. ივლისის პირველ რიცხვებში ტოლიატში გაიმართება ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშების საიალქნო რეგატა, ამიტომ ჩვენს ჭაბუკ (1971-72 წლებში დაბადებულ) აფროსნებსაც ყურადღებით ვაკვირდებოდით. ზემოთ ვთქვით, ამ თამაშებისთვის ჩვენი აფროსნების გუნდის მზადყოფნაზე საბოლოო დასკვნის გამოტანა ახლა ნაადრევიაო. ასეც რომ არ ყოფილიყო, სოჭის რეგატა, სადაც მონაწილეთა ასაკი და რაოდენობა, ფაქტიურად, შეუზღუდავია, ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა აფროსნობაში ძალთა თანაფარდობის მკაფიო სურათის ხილვის საშუალებას არ იძლეოდა. ვიცოდით ისიც, რომ საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას დიდი არჩევანი არა აქვს და გუნდში მძაფრი კონკურენცია არ არის. ყოველივე ზემოთქმულის გამო, ვამჯობინეთ ჩვენი ყურადღება ერთ კონკრეტულ საკითხზე, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრების ლიდერების გამოსვლაზე გაგვემახვილებინა. იოლი მისახვედრია, რამ განაპირობა ეს გადაწყვეტილება: ადრეა თუ გვიან ნაკრების საერთო მზადყოფნაზე ლაპარაკი, ფაქტია, რომ ძირითადად ლიდერთა გამოსვლაზეა დამოკიდებული, შეასრულებს თუ არა გუნდი მის წინაშე დასახულ ამოცანას — დაიკავოს IX ადგილი ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშებში. ამჟამად საქართველოს ნაკრებში საიმედო აფროსნები ბევრი არა გვყავს: „470"-ის კლასში ესენი არიან ანასტასია მიტროფანოვა და ელენე ობედკოვა, „ლუჩში" — მიხეილ კილასონია, „ვინდგლაიდერში" — თენგიზ გვათუა. უფროს და გამოცდილ მეტოქეებთან შეჯიბრებაში ისინი, რა თქმა უნდა, საბოლოო შედეგების ცხრილის შუაგულში ჩაიკარგნენ, მაგრამ ჭაბუკთა შედეგებს ცალკე თუ გამოვყოფთ, იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მომავალ თამაშებში ეკიპაჟების რაოდენობა ლიმიტირებული იქნება, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: პოტენციურ მეტოქეებთან ბრძოლაში ჩვენი გუნდის ლიდერები მეხუთე-მეექვსე საფეხურებზე „ტრიალებენ". ეს დასკვნა, რა თქმა უნდა, პროგნოზი არ არის, მაგრამ, ჩვენის აზრით, თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა და ლიდერებმა და მათმა თანაგუნდელებმა თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად არ იასპარეზეს, ჩვენმა აფროსნებმა დაგეგმილი გუნდური ადგილი უნდა დაიკავონ.

თ. შენგელია.

გუშინ შევიტყვეთ, რომ „გარდის რეგატაში" გურამ ბიგანიშვილმა V ადგილი დაიკავა, ვიქტორ სოლოვიოვმა კი მე-16 შედეგი აჩვენა.

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობა წყალბურთში ქალთა შორის

მეორე წრის შეხვედრებს თბილისი უმასპინძლებს

ჩვენს ქვეყანაში წყალბურთელ ქალთა გუნდები მხოლოდ პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებას ჰყავს. ამიტომ პროფკავშირული სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობა ისეთსავე დიდ ინტერესს იწვევს, როგორსაც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატი. გამონაკლისი არც უმაღლესი ლიგის წყალბურთელ ქალთა საკავშირო პროფკავშირების პირველობაა, რომლის I წრის შეხვედრები ზაპოროჟიეში გაიმართა.

ამ შეჯიბრებაში თბილისელი წყალბურთელები ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებიან. ჩვენმა გუნდმა, რომელსაც „ივერია" ჰქვია, როგორც გახსოვთ, ჩარშან, თბილისში გამართულ საკავშირო პირველობაზე, სადაც რესპუბლიკების ნაკრები კოლექტივები გამოდიოდნენ, უკრაინელთა შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა. ჩვენს გუნდს რომ წლეულსაც სერიოზული გეგმები აქვს, ამაზე ზაპოროჟიეში „ივერიის" გამოსვლაც მეტყველებს.

ამ ქალაქში თბილისელთა გარდა თავი მოიყარეს მოსკოვის „უნივერსიტეტის", სკიფ-ის, მინსკის „სალუტის", ზლატოუსტის „ურალოჩკას", ხარკოვის ხპი-ს, „ალმა-ათისა" და ზაპოროჟიეს „სტრელას" გუნდებმა.

თბილისელებმა (ვიქტორია უტიცკიხი, ქეთინო გვანცელაძე, ლელა გოჩალეიშვილი, ტატიანა ჩერნიშოვა, მარიკა ხიზანიშვილი, ალა მარგიევა, ნატალია აზატიანი, რუსუდან გვანცელაძე, თამარ ლაშქარაშვილი, ლელა მგელაძე, ნონა ეკიზაშვილი, მედეა ჯაბადარი, ია კორაშვილი) ჩაატარეს ხუთი შეხვედრა, რომელთაგან გაიმარჯვეს „სალუტთან" (10:9), „ალმა-ათასთან" (11:4) და „ურალოჩკასთან" (9:8) შეხვედრებში. „ივერიამ" ფრედ (8:8) დაამთავრა შეხვედრა სკიფთან, ხოლო თვითონ მხოლოდ „უნივერსიტეტთან" დამარცხდა (5:7).

ზაპოროჟიეში 8-8 ქულა მოაგროვეს „უნივერსიტეტისა" და „სალუტის" წყალბურთელებმა. სკიფსა და „ივერიას" 7-7 ქულა აქვთ. მომდევნო ადგილებზე მოდიან „სტრელას", „ურალოჩკას" (4-4), ხპი-სა და „ალმა-ათის" (1-1) გუნდები.

როგორც ხედავთ, „ივერია" ლიდერთა შორისაა და მას კარგი შანსი აქვს ერთ-ერთი საპრიზო ადგილის დასაკავებლად, მით უმეტეს, რომ მეორე წრის შეხვედრებში ჩვენი გუნდი მასპინძლის როლში უნდა გამოვიდეს.

მეორე წრე სექტემბერში გაიმართება და გვინდა იმედი გამოვთქვათ, რომ თბილისელები მანამდე კიდევ უკეთესად მოემზადებიან.

ავთანდილ ჟუჟიშვილი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

გთავაზობთ სსრ კავშირის ფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.

„დინამო“ (კიევი) — „სპარტაკი“ 1:2 (1:0). გოლები: პროტასოვი, („დინამო“), პასულკო, როდიონოვი („სპარტაკი“).

გააფრთხილეს სპარტაკელი ფეხბურთელი ბუბნოვი.

დუბლიორები — 1:0.

„ტორპედო“ — „დნეპრი“ 1:0 (1:0). ამ მატჩის ერთადერთი გოლი გრეჩნევმა გაიტანა მე-20 წუთზე. „დნეპრს“ შეეძლო თავი დაეღწია დამარცხებისათვის, მაგრამ ევტუშენკომ 78-ე წუთზე ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი.

გააფრთხილეს ტორპედოელი ქუკოვი და დნეპროპეტროვსკელი სოროკალეტი.

დუბლიორები — 3:1.

„ველგორისი“ — „ნეფთჩი“ 2:0 (2:0). ბურთები გაიტანეს ნარბეკოვასმა (პენალტი) და სუკრისტოვმა.

გააფრთხილეს ბაქოელი ფეხბურთელები ჰამედოვი და გარიბოვი, აგრეთვე, ვილნიუსელი ნარბეკოვასი.

„ზენიტი“ — „არარატი“ 2:1 (0:0). ზენიტელთა ორივე გოლი ქელეუდკოვის ანგარიშზეა. სპასსუხო ბურთი აივაზიანმა გაიტანა მე-18 წუთზე. ამის შემდეგ ლენინგრადელთა კარში 11-მეტრიანი დაინიშნა, მაგრამ აშ. ხაჩატრიანის დარტყმა მოიგერია მეკარე ბირიუკოვმა.

გააფრთხილეს გალუსტიანი („არარატი“) და სტეპანოვი („ზენიტი“).

დუბლიორები — 0:0.

„მეტალისტი“ — „ჩერნომორეცი“ 0:1 (0:0). ერთადერთი გოლი მასპინძელთა კარში პლოსკინამ გაიტანა 72-ე წუთზე.

დუბლიორები — 0:1.

„ჭაირათი“ — „შახტიორი“ 0:1 (0:1). ბურთი გაიტანა გერასიმეცმა.

დუბლიორები — 0:0.

„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (მოსკოვი) 0:0. გააფრთხილეს მინსკელი ფეხბურთელი როდნენკო.

დუბლიორები — 0:2.

⊙ მიმდინარე ჩემპიონატში მოსკოვის „ტორპედო“ ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჯერ არც ერთი მატჩი არ წაუგია და არც ბურთი გაუშვია. ამავე დროს, ალმა-ათის „ჭაირათმა“ და ბაქოს „ნეფთჩიმ“ ყველა 4-4 მატჩი წააგეს, ალმაათელებს კი ჯერ გოლიც არ გაუტანიათ მეტოქის კარში.

⊙ ბანვილ, IV ტურში უმაღლესი ლიგის გუნდების 8 მატჩში სულ 14 ბურთი იქნა გატანილი. 4 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 3— სტუმრებმა, ერთი შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

⊙ გომბაარდირთა დავაში დაწინაურდა ლენინგრადის „ზენიტის“ თავდამსხმელი ს. დმიტრიევი, რომელმაც 5 ბურთი გაიტანა. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელს გ. გურულის ანგარიშზეა 4 გატანილი ბურთი.

⊙ საკავშირო ჩემპიონატში 9 აპრილამდე შესვენებაა. ამ მცირე „ანტრაქტის“ დროს სსრ კავშირის პირველი ნაკრები დასავლეთ ბერლინის საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, ხოლო ჩვენი ოლიმპიური ნაკრები შესარჩევ მატჩში მიიღებს თურქეთის გუნდს. ეს თამაში 6 აპრილს გაიმართება სიმფეროპოლში.

⊙ 1-ს აპრილს დაიწყება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშება, გაიმართება I ტურის მატჩები.

გათამაშების ცხრილი
დუგლიორთა შემადგენლობა

მდგომარეობა 30 მარტისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	4	4	0	0	8-3	8
„ტორპედო“	4	3	0	1	10-5	6
„დინამო“ მ.	4	3	0	1	9-6	6
„ველგორისი“	4	2	2	0	13-2	6
„დინამო“ თბ.	4	2	1	1	6-8	5
„ლოკომოტივი“	3	2	0	1	10-3	4
„სპარტაკი“	4	2	0	2	10-8	4
„დნეპრი“	4	2	0	2	8-8	4
„ჩერნომორეცი“	4	1	1	2	2-4	3
„ზენიტი“	4	1	1	2	3-7	3
„შახტიორი“	4	1	1	2	3-7	3
„მეტალისტი“	4	1	0	3	7-6	2
„დინამო“ მნ.	3	1	0	2	2-4	2
„არარატი“	3	0	2	1	1-6	2
„ჭაირათი“	4	0	2	2	2-9	2
„ნეფთჩი“	3	0	0	3	0-8	0

ჰოლონეთსა და ბელგიაში

ჰოლონეთის სპორტული პრესა ბოლო ხანებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებაში თავი იჩინა კრიზისულმა ტენდენციებმა, სქაური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ მაღალი რანგის გუნდების შევსება არაკვალიფიციური კადრებით ხდება, არადამაკმაყოფილებელია სასელექციო საქმიანობა, ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად კი საჭიროა საგანგებო ღონისძიებანი.

ამიტომაც ჰოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ დაადგინა 1988 წლიდან მოყოლებული უმაღლესი ლიგის თითოეული კლუბი ვალდებულია იყოლიოს სხვადასხვა ასაკის ჰაბუკთა 12 გუნდი, ხოლო მეორე დივიზიონის კლუბებმა — 8-8 გუნდი. თუ კლუბი ამ მოთხოვნას არ შეასრულებს, ფედერაციას უფლება აქვს იგი იმ თანხით დააჯარიმოს, რაც საჭიროა ჭაბუკთა კატეგორიის ამ გუნდების შენახვისთვის.

ამრიგად, ჰოლონეთის ოსტატთა კლუბები ასეთი არჩევანის წინაშე დადგნენ: ან ჯარიმა გადაიხადონ, ან იყოლიონ ჭაბუკთა გუნდები და ოსტატთა მომავალი კადრების აღსაზრდელად იზრუნონ.

• • •

ბელგია მსოფლიოში ერთ-ერთ საფეხბურთო ქვეყნად ითვლება. აქაურ საუკეთესო მოთამაშეებს საერთაშორისო აღიარება აქვთ, მაგრამ ამავე დროს ბელგია საერთაშორისო სარბიელზე ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მოწვეულ ფეხბურთელთა რაოდენობით. ამ ქვეყანაში ამჟამად რეგისტრირებულია 90-ზე მეტი უცხოელი ფეხბურთელი. აქაურ კლუბებში არიან — ისლანდიელები, თურქები, ალჟირელები, ზაირელები, ინგლისელები, პერუელები, მაროკოელები, ფინელები. მაინც, პირველ ადგილზე ჰოლანდიელები არიან, რომელთა რაოდენობა ბელგიის კლუბებში 8-ს აღწევს.

საქართველოს პირველობა

26 და 27 მარტს გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის II ტურის მატჩები.

„ჭართლი“ (გორის რ-ნი) — „მადრევანი“ (წყალტუბო) 0:0. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი).

„მადნეული“ (ბოლნისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი). გოლი: ბეს. უგულავა.

დროის განზრახ გაყვანისთვის გააფრთხილეს ბეს. უგულავა, ხოლო ბ. ისიანი — მსაჯთან კამათისთვის (ორივე — „მადნეულიდან“).

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი). გოლები: მალანია („დინამო“), ჯავაშვილი („დინამო“, საკუთარ კარში).

თამაშის წესის დარღვევისთვის გააფრთხილეს ზუგდიდელი ვ. თუთბერიძე.

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „დინამო“ (გაგრა) 2:0. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი). გოლები: ნ. კიკნაძე-2 („მეტალურგი“).

ხელით თამაშისთვის გააფრთხილეს ქ. სიჭინავა („დინამო“), ხოლო გ. შარაბიძე („მეტალურგი“) — სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის.

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:2. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი). გოლები: სიჭინავა, ციმაკურიძე-2 („სამეგრელო“), ჩიქოვანი-2 („ეგრისი“).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 3:2. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი). გოლები: ოსაძე, ქოქიაშვილი-2 („დურუჯი“), მურვანიძე-2 („სალხინო“).

მსაჯთან შეკამათებისთვის გააფრთხილეს მ. ხელაია („სალხინო“).

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „სჭური“ (წალენჯიხა) 0:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 2:0. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი). გოლები: ჯუღელი, ქარდავა (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს ი. ჯუღელი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

„არმაზი“ (მცხეთა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:1, მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლები: ხუცურაული-2 („არმაზი“), ქობალია („ამირანი“).

„მეშახტე“ (ტყიბული) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:2, მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი). გოლები: კაციტაძე, მელია („კოლხეთი“).

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „სულორი“ (ვანი) 1:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი). გოლები: სევასტოპულო („მაღაროელი“), დ. პაიკიძე („სულორი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ა. გაჩეჩილაძე („მაღაროელი“).

მსაჯთა რეესტრი

სსრ კავშირის სპორტსაბჭოს ფეხბურთის სამმართველო შარშანდლიდან „სოვეტსკი სპორტში“ რეგულარულად აქვეყნებს უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის კალენდარულ შეხვედრათა მსაჯების სიას. საქართველოს სპორტსაბჭოს ფეხბურთის სამმართველომაც გადაწყვიტა წინასწარ გამოაქვეყნოს რესპუბლიკური ჩემპიონატის მსაჯთა რეესტრი. გთავაზობთ უახლოესი ტურის მატჩების მსაჯთა სიას:

2 აპრილი

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ჭართლი“ (გორის რ-ნი). **ზ. ჯინჭარაძე, ა. კოკაბიძე, მ. გარნოვსკი.**

„მადრევანი“ (წყალტუბო) — „არმაზი“ (მცხეთა). **ნ. კილაძე, ო. გაგუა, რ. ტოროშიანი.**

„დინამო“ (გაგრა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ). **თ. ლაცაბიძე, ა. კოკაია, მ. ბაბაიძე.**

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „დურუჯი“ (ყვარელი). **რ. ტალიაშვილი, უ. ფურცელაძე, რ. ვერულაშვილი.**

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა). **ვ. ხეჩოიანი, ა. ყიფიანშვილი, გ. ბარბაჭაძე.**

„სჭური“ (წალენჯიხა) — „ივერია“ (ხაშური). **ი. კანდელაკი, ტ. ნიშნიანიძე, გ. თხელიძე.**

3 აპრილი

„ამირანი“(ოჩამჩირე) — „მეშახტე“ (ტყიბული). **ა. კოკაია, თ. ლაცაბიძე, მ. ბაბაიძე.**

„კოლხეთი“ (ხობი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი). **უ. ფურცელაძე, რ. ტალიაშვილი, დ. მენთეშაშვილი.**

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი). **ე. გვარამაძე, გ. შავგულიძე, მ. ფოლადაშვილი.**

„მადნეული“ (ბოლნისი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა). **თ. ბადილიანი, ბ. თოფურია, ვ. კლიშჩენკო.**

„დინამო“ (ზუგდიდი) — „სულორი“ (ვანი), **ტ. ნიშნიანიძე, ი. კანდელაკი, რ. ვერულაშვილი.**

ტურნირი დასავლეთ ბერლინში

ამ საფეხბურთო ტურნირისადმი ინტერესი განსაკუთრებულია. ზშირად როდი ხდება, როცა ორგანიზატორები ერთ შეჯიბრებაში თავს უყრიან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონსა და სამხრეთ ამერიკის 11-გზის ჩემპიონს არგენტინის ნაკრებს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონსა და ევროპის ორგზის ჩემპიონს გფრ-ის გუნდს, აგრეთვე, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს საბჭოთა კავშირისა და შვეიცარის ნაკრებ გუნდებს.

ყველა ამ გუნდს „ოთხთა ტურნირში“ მონაწილეობის თავისი გარკვეული მიზნები აქვს. არგენტინის ნაკრების ხელმძღვანელობა ახლა საგრძნობლად აახალგაზრდავებს შემადგენლობას, გფრ-ისა და საბჭოთა კავშირის გუნდები ევროპის ჩემპიონატის ფინალისთვის ემზადებიან, შვედები კი მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩებისთვის იჭერენ თადარიგს.

არგენტინელებმა შარშან 12 ოფიციალური მატჩი გამართეს. ისინი ორ დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ: სამხრეთ ამერიკის პირველობაზე და პანამერიკულ ჩემპიონატში. როგორია ამ მატჩების შედეგები?! სამხრეთ ამერიკის პირველობის 4 შეხვედრიდან მსოფლიო ჩემპიონებმა მოუგეს ეკვადორელებს (3:0), ფრედ ითამაშეს პერუელებთან (1:1), ორი შეხვედრა კი წააგეს — ურუგვაელებთან (0:1) და კოლუმბიელებთან (1:2). პანამერიკული ჩემპიონატი სამხრეთ ამერიკის პირველობაზე უფრო სუსტი შეჯიბრება იყო. აქ არგენტინელებმა მოუგეს სალვადორის ნაკრებს (1:0), ტრინიდადელებს (6:0), აშშ-ს გუნდს (1:0). წააგეს ჩილელებთან (2:3) და ფრედ (0:0) ითამაშეს მექსიკელებთან. ეს შედეგებიც, ცხადია, არ იყო მსოფლიო ჩემპიონების საჭადრაკო. გარდა ამისა, სხვა ამხანაგურ საერთაშორისო მატჩებში არგენტინელები დამარცხდნენ იტალიელებთან (1:3), პარაგვაელებთან (0:1) და სძლიეს გფრ-ის ნაკრებს (1:0).

ამრიგად, 12 მატჩში კ. ბილარდოს გუნდმა 5 მოიგო, ამდენივე წააგო და ორი ფრედ დაამთავრა. დასავლეთ ბერლინის ტურნირში არგენტინელებს ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის თითქმის ყველა გმირი ეყოლებათ. რაც მთავარია, ითამაშებს მარადონა.

გფრ-ის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალში მასპინძლის როლშია. ისიც წინასწარ ცნობილია, რომ ფრანც ბეკენბაუერი 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ უნდა გამოეთხოვოს გუნდს და ადგილი ბერტი ფოგთს დაუთმოს. ტურნირმა დასავლეთგერმანელ გულშემატკივრებს უნდა უჩვენოს, როგორია ნაკრების სადღეისო დონე, შეუძლია თუ არა მას იყოს ევროპის ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი. შარშანდელი სეზონის შედეგები, თითქოს, ურიგო არ არის: 9 მატჩიდან გფრ-ის ნაკრებმა მოიგო 4, ამდენივე ფრედ დაამთავრა და მხოლოდ ერთი წააგო. აი, ეს შედეგებიც: ისრაელის ნაკრებთან 2:0, იტალიელებთან 0:0, ფრანგებთან 2:1, ინგლისელებთან 3:1, დანიელებთან 1:0, შვედებთან 1:1, უნგრელებთან 0:0, ბრაზილიელებთან 1:1 და არგენტინელებთან 0:1, ამავე დროს მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ ნაკრების თამაში ჯერ კიდევ არ ტოვებს კარგ შთაბეჭდილებას, მას მრავალი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი.

დასავლეთ ბერლინის ტურნირში შვედებს რაიმე უახლოესი პრობლემები არ აწუხებთ, მწვრთნელ ოლე ნორდინის განკარგულებაში ახლა არაერთი ჩინებული ოსტატია. „ტრე კრუნურმა“ შარშან 9 მატჩი ჩაატარა: თბილისში მოუგო საბჭოთა კავშირის ნაკრებს (3:1), სძლია იტალიელებს (1:0), მალტელებს (1:0), დანიელებს (1:0), ფრედ ითამაშა შვეიცარიელებთან (1:1), ნორვეგიელებთან (0:0), გფრ-ის ნაკრებთან (1:1), წააგო პორტუგალიელებთან (0:1) და იტალიელებთან (1:2).

დაბოლოს, გავიხსენოთ საბჭოთა კავშირის ნაკრების შარშანდელი შედეგები: 4 მოგება—გდრ-ის ნაკრებთან (2:0), იუგოსლავიელებთან (1:0), ბერძნებთან (3:0), ისლანდიელებთან (2:0), 4 ფრე — უელსელებთან (0:0), ნორვეგიელებთან (0:0), ფრანგებთან (1:1) და გდრ-ის ნაკრებთან (1:1), მხოლოდ ერთი წაგება შვედებთან (1:3). ამას უნდა დავუმატოთ ამასწინანდელი წაგება იტალიელებთან 1:4 და გამარჯვება საბერძნეთის გუნდთან — 4:0.

გივი თოხელი.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

მზღოლდ ტექნიკური შედეგები

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

26 მარტი. „სინათლე“ (თბილისი) — ხოხუმი 112:110 (58:52).

„სინათლე“: სინჯარაძე (31), გურასპაული (25), ჯორჯიკია (18), ძიძავა (14), ქორქია (11), ძიძიგური (8), ღონღაძე (5).

ხოხუმი: ჭითავა (36), სულავა (26), სუშენკო (19), პიროველი (15), ჯგერენაია (10), ჩუბინიძე (4).

27 მარტი. „სინათლე“ (თბილისი) — ხოხუმი 122:106 (58:44).

„სინათლე“: ღონღაძე (26), გურასპაული (21), ჯორჯიკია (21), სინჯარაძე (18), ჩაჩხიანი (13), ქორქია (10), ძიძიგური (6), ძიძავა (5), კობახიძე (2).

ხოხუმი: სულავა (32), ჯგერენაია (23), ჭითავა (16), ჩუბინიძე (15), პიროველი (12), სუშენკო (4), იოსავა (4).

26 მარტი. ქუთაისი — უნივერსიტეტი (თბილისი) 81:65 (34:29).

ქუთაისი: დარსაძე (26), ხუჯაძე (22), გოგსაძე (13), ანდღულაძე (11), ხაბულიანი (8), ვაშაკიძე (1).

უნივერსიტეტი: ბარადაჩოვი (18), აბულაშვილი (12), ახვლედიანი (10), ტურაშვილი (7), ხუხაშვილი (6), ქურდოვანიძე (6), რევაზიშვილი (4), ტალაბაძე (2).

27 მარტი. ქუთაისი — უნივერსიტეტი (თბილისი) 60:75 (32:40).

ქუთაისი: ვაშაკიძე (25), გოგსაძე (12), აფრიდონიძე (8), დარსაძე (6), ხაბულიანი (4), ხუჯაძე (3), ანდღულაძე (2).

უნივერსიტეტი: ტურაშვილი (31), ბარადაჩოვი (19), ტალაბაძე (6), რევაზიშვილი (6), დონაძე (6), აბულაშვილი (5), ხუხაშვილი (2).

26 მარტი. თელავი — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 94:117 (36:60).

თელავი: მესტვირიშვილი (23), ვარდიაშვილი (20), მჭედლური (19), ჯოხარიძე (13), წიქარიშვილი (12), ბრაგვაძე (4), არჯევანიძე (3).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი: გიორგობიანი (61), გეგეშიძე (18), ვაშაკიძე (14), ბუაძე (14), გოგელია (4), გაბრიჩიძე (3), პეტრიაშვილი (3).

27 მარტი. თელავი — პოლიტექნიკური ინსტიტუტი: 100:128 (43:53).

თელავი: ვარდიაშვილი (36), მესტვირიშვილი (23), წიქარიშვილი (21), მჭედლური (14), ჯოხარიძე (4), არჯევანიძე (2).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი: გიორგობიანი (59), პეტრიაშვილი (23), ვაშაკიძე (20), გეგეშიძე (19), ბუაძე (4), გოგელია (3).

26 მარტი. ბათუმი — „დინამო“ (თბილისი) 84:58 (35:30).

ბათუმი: მ. ემირიძე (29), დიასამიძე (12), შერვაშიძე (12), ზოიძე (9), გ. ემირიძე (8), ჟღენტი (6), ბარამიძე (4), ჩიხრაძე (2), დუმბაძე (2).

„დინამო“: ცისკარიშვილი (15), კოკოლიშვილი (11), გრძელიშვილი (10), ჭაბუკიანი (7), იასვილი (6), ქორფაშვილი (5), ლომთაძე (4).

27 მარტი. ბათუმი — „დინამო“ (თბილისი) 87:77 (52:34).

ბათუმელთა შორის ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელები მ. ემირიძე (44) და გ. ემირიძე (14) იყვნენ. „დინამოში“ — კოკოლიშვილი (25), გრძელიშვილი (21) და ქორფაშვილი (20).

26 მარტი. გორი — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 77:92 (35:49).

გორი: ცაგარეიშვილი (40), ჯამარჯიშვილი (13), კორძაია (6), დარგუაშვილი (6), ალაშვილი (4), ჩხეტიანი (4), ჯოლბორდი (4).

ფიზკულტურის ინსტიტუტი: ფერიაშვილი (24), უძილაური (22), კობეშავიძე (15), ლიპარტელიანი (8), ჩერქეზიშვილი (6), დათიკაშვილი (5), მაისურაძე (4), ხომერიკი (2), დადიანი (2), ტომარაძე (2), მოველიძე (2).

27 აგვისტო. გორი — ფიზკულტურის ინსტიტუტი 66:99 (34:52).

გორი: ცაგარეიშვილი (16), ჯამარჯიშვილი (14), ჯოლბორდი (12), კორძაია (8), დარგუაშვილი (8), სუხიაშვილი (4), ალაშვილი (2), ჩუბუკანი (2).

ფიზკულტურის ინსტიტუტი: დადიანი (24), ფერიაშვილი (16), დათიკაშვილი (15), კობეშავიძე (12), უძილაური (10), მოველიძე (9), ჩერქეზიშვილი (6), ტომარაძე (5), მაისურაძე (2).

დიდი რეგბის XXV სტარტი

XXV საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობს უმაღლესი ლიგის 12 გუნდი: ქუთაისის „მშენებელი“, მონინოს სამხედრო საჰაერო აკადემიის კოლექტივი, კიევის „ავიატორი“, მოსკოვის „სლავა“, ალმათის არმიის სპორტული კლუბი, კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროი“, მოსკოვის „ლოკომოტივი“, მოსკოვის „ფილი“; ტირასპოლის „ელექტრომაში“, თბილისის რკინიგზელ რეგბისტთა კლუბი „ელმავალი“, ლენინგრადის „პრიმორეცი“ და ტაშკენტის „ზვეზდა“.

შეჯიბრება სამ ეტაპად ჩატარდება. პირველ ეტაპზე თითოეული გუნდი 22 შეხვედრას გამართავს. შემდეგ რვა უძლიერესი კოლექტივი ჩემპიონობისათვის გააგრძელებს ბრძოლას, ოთხ აუტსაიდერს კი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად პირველ ლიგაში დაწინაურებულ ოთხ გუნდთან მოუწევს თამაში (ორ წრედ).

მეორე ეტაპზე გასული რვა გუნდი ორ ქვეჯგუფად დაიყოფა. ერთში ითამაშებენ პირველი, მეოთხე, მეხუთე და მერვე ადგილების მფლობელები, მეორეში კი ისინი, ვინც პირველ ეტაპზე მეორე, მესამე, მეექვსე და მეშვიდე ადგილებს დაიკავებენ. თითოეული გუნდი ქვეჯგუფში კიდევ 6 მატჩს ჩაატარებს — შინ და სტუმრად შეხვდება თანაქვეჯგუფელ მეტოქეებს, რის შემდეგაც (ჩემპიონატის 28 ტურის მიხედვით) თითოეული ქვეჯგუფიდან შეირჩევა ორ-ორი საუკეთესო გუნდი. ისინი მესამე ეტაპზე პირველ-მეოთხე ადგილებისათვის იბრძოლებენ, მეხუთე-მერვე ადგილებისათვის კი მეორე ეტაპზე ხელმოცარული გუნდები იასპარეზებენ.

მესამე ეტაპზე თითოეული გუნდი კიდევ 4 მატჩს გამართავს — ორ-ორჯერ შეხვდება მათ, ვისთანაც მეორე ეტაპზე არ უთამაშია. ამ შეხვედრების შედეგები დაემატება თანაქვეჯგუფელ გუნდთან მეორე ეტაპზე ჩატარებული ორი მატჩის შედეგს და საბოლოოდ მხოლოდ ამ 6 მატჩის მაჩვენებლების მიხედვით დადგინდება გუნდის ადგილი გათამაშების ცხრილში.

წარმოგიდგენთ საქართველოს გუნდებს

ქუთაისის „მშენებელი“

დაარსდა 1966 წელს. საკავშირო ჩემპიონატებში 1977 წლიდან მონაწილეობს (პირველ ლიგაში). 1979 წლიდან უმაღლესი ლიგის უცვლელი ბინადარია. თითოჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის (1987 წელს), თასის მფლობელის (1987), ვიცე-ჩემპიონისა (1984) და მესამე პრიზიორის (1985) ტიტულები. ხუთჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი (1969, 1978, 1982, 1983-84, 1984-85).

გუნდის უფროსია გიზო ცქიტიშვილი; მთავარი მწვრთნელი — დუგლას კავთელაშვილი; მწვრთნელები — ოლეგ ლიპარტელიანი, მურთაზ დადუნაშვილი; ექიმი — მერაბ გაბიძაშვილი; მასაჟისტი — თემურ მინდიაშვილი; ადმინისტრატორი — ანზორ ალხაზაშვილი.

უკანა ხაზების მოთამაშეები: მცველები (№ 15): ნუგზარ ძაგნიძე (21 წლისა), იგორ მარიამიძე (25).

ფრთის სამმეოთხედელები (№ 14, 11): კახა გაბრიჩიძე (22), ოლეგ ჟორჟოლიანი (27), ბათლომე ხამაშურიძე (34), მამუკა ჯანაშია (22); შუა სამმეოთხედელები (№ 13, 12); მიხეილ ხარშილაძე (34), პაატა ძოწენიძე (19), ოლეგ ლიპარტელიანი (33), კახა მაჩიტიძე (19), ხვიჩა გეგელია (18),

გარე ნახევარმცველები (№ 10): ავთანდილ დეისაძე (25), დათო იობიძე (18); შერკინების ნახევარმცველები (№ 9): მამუკა ლოსაბერიძე (22), არჩილ სოხაძე (18).

მორკინალები:

პირველი ხაზი: ბურჯები (№ 1, 3): რობერტ ობოლაძე (36), გიორგი ბაბუნაშვილი (24), ბესარიონ ლილუაშვილი (34), ალექსანდრე ლიკლიკაძე (25); ჰუქერები (№ 2): თენგიზ ტურძელაძე (28), გელა ფირცხალავა (19), ავთანდილ პაპუაშვილი (18).

მეორე ხაზი (№ 4, 5): ალექსანდრე გრიგალავა (30), გია წივწივაძე (30), გრიგოლ გაბუნია (34), მათე სვანიძე (24), კახა რუსაძე (19),

მესამე ხაზი: ფრთის მოთამაშეები (№ 6, 7): ნიკოლოზ ნემსიწვერიძე (25), თამაზ ოდიშარია (24), მამუკა ჰოჭაბერიძე (19), თამაზ ფხაკაძე (22), ბადრი შვანგირაძე (26), ანანო გელავა (19); შერკინების შემკვრელები (№ 8): ალექსანდრე ნაუყებია (35), ზაზა თხელიძე (21), ალექსანდრე გაბიძაშვილი (25).

პირველი ეტაპის მატჩების განრიგი:

31.03 სსა (შინ), 03.04 „სლავა“ (შ.), 07.04 „პრიმორეცი“ (შ.); 28.04 „ეტს“ (შ.), 02.05 „ელექტრომაში“ (შ.), 05.05 „ელმავალი“ (სტუმრად), 09.05 „ლოკომოტივი“ (სტ.), 26.05 „ზვეზდა“ (შ.), 29.05 ასკ (შ), 02.06 „ავიატორი“ (სტ.), 06.06 „ფილი“ (სტ.), 09.06 „ლოკომოტივი“ (შ.), 15.06 სსა (სტ.), 18.06 „სლავა“ (სტ.), 21.06 „ფილი“ (შ.); 10.07 „ეტს“ (სტ.), 14.07 „ზვეზდა“ (სტ.), 21.07 „ელმავალი“ (შ), 24.07 „პრიმორეცი“ (სტ.), 28.07 „ელექტრომაში“ (სტ.), 01.08 ასკ (სტ.), 06.08 „ავიატორი“ (შ.).

თბილისის რკინიგზელ რეგბისტთა კლუბი

„ელმავალი“

ჩამოყალიბდა 1964 წელს. 1966 წლიდან, პირველი „ომისშემდგომი“ საკავშირო ჩემპიონატების უმაღლესი ლიგის ერთადერთი უცვლელი წევრია. ოთხჯერ (1968, 1972, 1978, 1981 წლებში) დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი, ერთჯერ მოიპოვა საკავშირო თასი (1978) და გავიდა ფინალში (1976). სამჯერ ფლობდა საქართველოს ჩემპიონის ტიტულს (1968, 1972, 1977).

გუნდის უფროსია კოკა ლაზიშვილი; მთავარი მწვრთნელი — თამაზ მგელაძე; მწვრთნელები — ნიაზ მამრიკიშვილი, გაიოზ მონიავა, მერაბ ანთაძე; მწვრთნელი ფიზმომზადებაში — ლექსო ბურნაძე; ადმინისტრატორი — მერაბ ფერაძე.

უკანა ხაზების მოთამაშეები:

მცველები (№ 15): ირაკლი ლეჟავა (19 წლის), გიორგი ძაგანელი (19).

ფრთის სამმეოთხედელები (№ 14, 11): ალეკო ხვედელიძე (23), გია მეტრეველი (22), ვალერი მანთიძე (32); შუა სამმეოთხედელები (№ 13, 12): თემურ შერაზადიშვილი (31), კოკა კლდიაშვილი (22), ლევან ჩიქვინიძე (19) თენგიზ თავაძე (27), მიხეილ ხარატი (23).

გარე ნახევარმცველები (№ 10): მალხაზ ჭეიშვილი (29), ვატო ლეჟავა (21), დათო ჩავლეიშვილი (25); შერკინების ნახევარმცველები (№ 9): ნუგზარ გაბრიჩიძე (25), იგორ ქერაული (22).

მორკინალები:

პირველი ხაზი: ბურჯები (№ 1, 3): დათო გიორგაძე (23), ზაზა ბაკურაძე (28), კახა გიუნაშვილი (20), დათო შუბითიძე (26), ვალერი გიორგობიანი (28), ჯულხან სულხანიშვილი (23), ალეკო მჭედლიძე (30); ჰუქერები (№ 2): დათო კაკაბაძე (29), ოთარ ჯინჭარაძე (29), ნუკრი წიკლაური (26).

მეორე ხაზი (№ 4, 5): თამაზ ხუადე (23) ხვიჩა კაშია (25), ბადრი მექვაბიშვილი (25) ლაშა ჩიქვინიძე (24).

მესამე ხაზი: ფრთის მოთამაშეები (№ 6, 7): გაიოზ მონიავა (32), ჯემალ ბახილაშვილი (27), თემურ ნარიმანიძე (19), ლევან მგელაძე (29), თემურ ქერტყოევი (25); შერკინების შემკვრელები (№ 8): გია გიუნაშვილი (23), დათო ღუდუშაური (24).

პირველი ეტაპის მატჩების განრიგი:

31.03 „სლავა“ (შინ), 03.04 სსა (შ.), 07.04 „ეტს“ (შ.); 28.04 „პრიმორეცი“ (შ.), 02.05 „ავიატორი“ (სტუმრად), 05.05 „მშენებელი“ (შ.); 11.05 „ფილი“ (სტ.); 26.05. ასკ (შ.); 29.05 „ელექტრომაში“ (სტ.), 02.06 „ზვეზდა“ (შ.), 05.06 მოსკოვის „ლოკომოტივი“ (სტ.), 09.06 „ფილი“ (შ.), 14.06 „სლავა“ (სტ.), 17.06 სსა (სტ.), 20.06 მოსკოვის „ლოკომოტივი“ (შ.); 09.07 „პრიმორეცი“ (სტ.), 17.07 ასკ (სტ.) 21.07 „მშენებელი“ (სტ.), 25.07 „ეტს“ (სტ.), 29.07 „ავიატორი“ (შ.), 01.08 „ელექტრომაში“ (შ.) 06.08 „ზვეზდა“ (სტ.)

პირველად ჩვენს რესპუბლიკაში

(დასასრული)

ლათბურთში თამაშის ხანგრძლიობა 30 წუთია 15 წუთიანი ტაიმებით (საერთო დრო) 5 წუთიანი შესვენებით. ცალკეულ ურთიერთშეხვედრებში დასაშვებია თამაშის ფრედ დამთავრება. გამარჯვებულად კი ჩაითვლება ის უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც ყველა შეხვედრაში ჩაგდებული ექნება ყველაზე მეტი ბურთი ერთად აღებული. გუნდების არათანაბარი რაოდენობით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ყოველ ზედმეტ გამოუცხადებელ გუნდზე კოლექტივს დაეწერება იმდენი საჯარიმო ქულა, რამდენიც დაფიქსირდება ყველაზე დიდი ანგარიშით წაგებულ შეხვედრაში. **ფრენბურთში** შეჯიბრება ტარდება შეცვლილი წესით (სამი პარტია 10-10 ქულამდე) გამარჯვებულად გამოცხადდება კოლექტივი, რომელსაც საერთო ჯამში აღმოაჩნდება ყველაზე მეტი მოგებული პარტია. გუნდების გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასწავლებელს 2 საჯარიმო ქულა დაეწერება.



ცურვაში თითოეულ სასწავლებელს გამოყავს 400 სტუდენტი, გამარჯვებულად გამოცხადდება კოლექტივი, რომელსაც 100 საუკეთესო მოცურავის (80 ვაჟი, 20 ქალი) საერთო შედეგით აღმოაჩნდება ნაკლები დრო. **მინიფეხბურთში** მონაწილეობს ვაჟთა 100-100 გუნდი. ჩატარდება ორი 15 წუთიანი ტაიმი 5 წუთიანი შესვენებით (დასაშვებია ფრე) თამაშები ჩატარდება ასხებული წესებით — შესაბამისად გამარჯვებულად გამოცხადდება კოლექტივი, რომელსაც ყველა 100 შეხვედრაში მეტი ბურთი ექნება გატანილი. თითოეულ გამოუცხადებელ გუნდზე კოლექტივს უარყოფით ბალანსში დაეწერება იმდენი ბურთი, რამდენიც დაფიქსირდება ყველაზე დიდი ანგარიშით წაგებულ შეხვედრაში.



განაცხადებს ექიმის ვიზით წარადგენენ შეჯიბრების ჩატარების ადგილზე, ნახევარი საათით ადრე მსაჯთა კოლეგიაში. შეჯიბრებებში არ დაიშვებიან ის სტუდენტები, რომლებიც გამოდიან საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების შემადგენლობებში.

თამაშებში გამარჯვებულად გამოცხადდება კოლექტივი ოთხივე სახეობებში მოპოვებული გამარჯვებების რაოდენობის მიხედვით. თანაბარ შემთხვევაში (2:2) უპირატესობა მიენიჭება ცურვაში უძლიერესს. გამარჯვებულ სასწავლებელს გადაეცემა საქართველოს პროფკავშირთა და სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს დიდი პრიზი და, დიპლომი, ხოლო სახეობებში გამარჯვებული კოლექტივები დაჯილდოვდებიან დიპლომებით.

ასპარეზობის ჩატარებას საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება ხელმძღვანელობს.

ელვა-ინფორმაცია

ლონდონში დაიწყო 25 წლამდე ასაკის მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ტარდება, მონაწილეობს ჩვენი თანამემამულე, ოსტატი ლაშა ჯანჯღავა.

2 ტურის შემდეგ მას ქულანახევარი აქვს და ლიდერთა ჯგუფში იმყოფება.

ბოლო წამებზე

ნიუ-იორკი. საბჭოთა კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა ამხანაგური შეხვედრა გამართა აშშ-ს გუნდთან „მედისონ სკვერ გარდენის“ დარბაზში. გამარჯვება, ისევე როგორც მსოფლიო თასის გათამაშების ფინალში. საბჭოთა ათლეტებმა მოიპოვეს — 6:4.

მეექვსე, გადამწყვეტი ქულა ჩვენს გუნდს ტაშკენტელმა მახარებელ ხადარცევმა მოუტანა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ჯიმ შერი დაამარცხა. ბოლო წუთებამდე მეტოქეებმა ვერაფერი მოუხერხეს ერთმანეთს (0:0). ყველა ელოდა, რომ დაინიშნებოდა დამატებითი დრო პირველ ქულამდე, მაგრამ სულ უკანასკნელ მომენტში საბჭოთა მოჭიდავემ ჩაატარა ილეთი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა ხადარცევსაც და ჩვენს გუნდსაც.

ხადარცევის გარდა ამ სამატჩო შეხვედრაში ქულები აიღეს: სერგეი კარამჩაკოვმა (48 კგ), რუსლან კარაევმა (57 კგ), აბდულა მაგომედოვმა (68 კგ), გამზათ ხაზამოვმა (74 კგ) და ალექსანდრე ტამბოვცევმა (82 კგ).

დღეს საბჭოთა ნაკრები კიდევ ერთხელ შეხვდება ამერიკის გუნდს ქალაქ ორლანდოში (ფლორიდას შტატი).

„სპორტპროგნოზი“

მე-13 ტირაჟის შედეგები (26-28 მარტი)

1—2, 2—X. 3—2, 4—1, 5—2, 6—2, 7—2, 8—1, 9—2, 10—1, 11—1, 12—X, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

სპორტულ ბაზებზე

შეხვედრები. საქართველოს პირველობა (II ჯგუფი). 2 აპრილი. ოქროყანის სპორტული ბაზა. **ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა** (თბილისი) — **„კახეთი“** (თელავი). დასაწყისი 15 საათზე. 3 აპრილი. საქართველოს ჩემპიონატი (I ჯგუფი). ოქროყანის სტადიონის სპორტული ბაზა. **ფიზკულტურის ინსტიტუტი** (თბილისი) — **„სპარტაკი“** (ცხინვალი). 14 ს.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

ხსრ კავშირის
ჩემპიონატი ხელბურთში

ექვსი ფინალისტი

კაუნასი. უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ადგილობრივი „გრანდტასისა“ და კიევის არმიელთა ბოლო, გამოტოვებული შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 25:25 (14:14). გამოვლინდა ფინალისტთა ექვსეული, რომელიც გაგრძელებს ბრძოლას საპრიზო ადგილებისთვის. ესენია: ასკ (მინსკი) — 41 ქულა, ცსკა — 31, ჯკიფ (კრასნოდარი) — 26, „დინამო“ (ასტრახანი) — 25, „პოლიოტი“ (ჩელიაბინსკი) — 25 და ასკ (კიევი) — 23.

„სპორტპროგნოზის“ მოყვარულთა საყურადღებოდ!

უკვე წელიწადზე მეტია, რაც თამაშდება ლატარია „სპორტპროგნოზი“ და იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენს რესპუბლიკაში. მაგრამ თუ შარშან „სპორტპროგნოზის“ თამაში ძირითადად თბილისელთა „პრივილეგია“ იყო, წელს სხვა ქალაქებისა და რაიონების სპორტის მოყვარულებსაც მიეცათ ამის შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ „ლელო“ სისტემატურად აქვეყნებს ცნობებს „სპორტპროგნოზის“ ბილეთების რეალიზაციისა და შევსება-ჩაბარების წესებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საკითხები, რომლებიც ლატარიის მოყვარულებს აინტერესებთ. ამაზე მოწმობს ჩვენი სარედაქციო ფოსტაც. წერილები მოდის გორიდან, მახარაძიდან, ცხინვალიდან, ზუგდიდიდან, რუსთავიდან, დუშეთიდან... შეკითხვები ბევრია, მაგრამ თითქმის ყოველი მათგანის ავტორს აინტერესებს ორი მთავარი საკითხი: როდის გაიყიდება „სპორტპროგნოზის“ ბილეთები მათ ქალაქსა თუ სოფელში და როგორ მოხდება მოგების ანაზღაურება.

კორესპონდენტების საყურადღებოდ უნდა განვმარტოთ, თუ როგორ ხდება ამ წერილებზე პასუხის გაცემა. შემოსულ წერილს რედაქცია უგზავნის სპორტული ლატარიების მთავარ სამმართველოს, საიდანაც ღებულობს ოფიციალურ პასუხს და შემდეგ უგზავნის პასუხს რედაქციაში შემოსული წერილის ავტორს. ამ პროცედურას კი, როგორც თავად მიხვდებით, საკმაო დრო სჭირდება.

აქედან გამომდინარე, თუ გინდათ, რომ თქვენთვის საინტერესო საკითხზე მიიღოთ ზუსტი, ამომწურავი და, რაც მთავარია, ოპერატიული პასუხი, უმჯობესია მიმართოთ „საქსპორტლოტოს“ რესპუბლიკურ სამმართველოს, რომლის მისამართია: თბილისი 380019, ელიავას ქ. № 26.

ინდექსი 86435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ბოშარაულის ქ. 29. უე 05271